

ფინკა ბანკი საქართველო

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა



FINCA[®] Bank
ფინკა ბანკი

სს „ფინკა ბანკი საქართველო“ („ბანკი“ ან/და „დამმუშავებელი“), როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე და პასუხისმგებლიანი საბანკო მომსახურების გამწევი ორგანიზაცია ასრულებს რა მის ძირითად მისიას, აღმოფხვრას სიღარიბე ადამიანებისათვის გრძელვადიანი გადაწყვეტილებების შეთავაზების გზით, აღიარებს და იღებს პასუხისმგებლობას დაიცვას პერსონალური მონაცემები მოქმედი კანონმდებლობის და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის, მათ შორის ევროპის საბჭოს რეკომენდაციების (No. R (90) 19 და No. R (85) 20), გათვალისწინებით.

მუხლი 1. პერსონალური მონაცემის დამუშავების პოლიტიკა და მიზანი

1.1 წარმოდგენილი პოლიტიკა (შემდეგში „პოლიტიკა“) ეხება ყველა იმ ფიზიკურ პირს (როგორცაა ბანკის მომხმარებლები, თანამშრომლები, კონტრაქტორები და სხვა - შემდეგში ასევე „მონაცემთა სუბიექტი“), რომელთა შესახებაც ბანკი ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს (შემდეგში ასევე „მონაცემი“).

1.2 ბანკისთვის მნიშვნელოვანია თქვენი მონაცემების დაცვა, როგორც საფუძველი სანდო და კეთილსინდისიერი ფინანსური მომსახურების მიმწოდებლის და ბანკთან თქვენი ბიზნეს ურთიერთობების თვალსაზრისით, ხოლო ამ პოლიტიკის მიზანია მოგაწოდოთ ძირითადი ინფორმაცია, როგორ მუშავდება პერსონალური მონაცემები და ხორციელდება მისი დაცვა.

1.3 პოლიტიკა თანაარსებობს და წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტების მიერ ბანკთან დადებული ხელშეკრულებების ან/და ბანკის მიერ დადგენილი პროცედურების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ორმხრივ ხელშეკრულებებს (ასეთი არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 2. პერსონალური მონაცემები და მისი დამუშავება

2.1 პერსონალური მონაცემია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ სხვა მახასიათებლებთან ერთად ერთობლიობაში, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

2.2 პერსონალური ან განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი შეიძლება იყოს ერთი ან რომელიმე ქვემოთ მითითებული ერთობლივად:

- ა) სახელი და გვარი;
- ბ) პირადი ნომერი;
- გ) პირადობის მოწმობის, პასპორტის, ამავე ელექტრონული საბუთის უნიკალური მახასიათებლები ან/და ასლი;
- დ) პირადი ელექტრონული ფოსტის მისამართი;

- ე) თითის ანაბეჭდი;
- ვ) ტელეფონის ნომერი;
- ზ) იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი;
- თ) საკრედიტო ისტორია;
- ი) სხვა ბანკებში გახსნილი ანგარიშების რეკვიზიტები;
- კ) სხვა ის ინფორმაცია, რომელიც ასევე ერთობლიობაში იძლევა პირის პერსონალური იდენტიფიცირების საშუალებას ან/და საჭიროა ბანკთან ურთიერთობის მცდელობის ან საბოლოოდ გარიგების დადების მიზნებისთვის.

2.3 მონაცემთა დამუშავება არის მონაცემთა ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება.

2.4 ბანკში მონაცემები ძირითადად მუშავდება: მომსახურების გაწევის, განცხადებების განხილვის, სახელშეკრულებო ურთიერთობების შესრულების, დასაქმების მიზნით; ასევე, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით, მონაცემთა დამუშავება საჭიროა ბანკის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.

2.5 თანხმობას მონაცემთა სუბიექტი გამოხატავს ზეპირად, წერილობით, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული წესით, რომლითაც შესაძლებელია დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება.

2.6 ბანკმა შეიძლება დაამუშაოს მონაცემები მომსახურების საჭიროებიდან გამომდინარე ან მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვა მონაცემთა დამმუშავებლის დახმარებით და მასთან დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ბანკში მკაცრად დადგენილ სტანდარტებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

2.7 მონაცემთა დამუშავება ხორციელდება ბანკში დადგენილი პროცედურებით, რომელიც მკაცრად სავალდებულოა შესასრულებლად ყველა თანამშრომლის თუ კონტრაქტორი პირისთვის.

მუხლი 3. მონაცემთა დამუშავების პრინციპები

3.1 ბანკში მონაცემთა დამუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კანონმდებლობით, ბანკის წინამდებარე პოლიტიკით და შიდა პროცედურებით დადგენილი მოთხოვნები.

3.2 ბანკში მონაცემთა დამუშავებისას დაცულია შემდეგი პრინციპები:

- ა) მონაცემები მუშავდება სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვით და მისი ღირსების შეულახავად;
- ბ) მონაცემები შეინახება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად;
- გ) მონაცემები მუშავდება კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის;
- დ) მონაცემების დამუშავება მიზნის ადეკვატური და პროპორციულია;
- ე) მონაცემები მუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად;
- ვ) მონაცემები ნამდვილი და ზუსტია, ასევე საჭიროების შემთხვევაში, ექვემდებარება განახლებას.

3.3 დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს.

3.4 იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იყოს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 4. მონაცემთა შეგროვება და ჩაწერა

4.1 მონაცემთა შეგროვება ძირითადად ხორციელდება:

- ა) როდესაც ივსება ბანკის მიერ დადგენილი სხვადასხვა განცხადების ფორმები;
- ბ) ბანკის თანამშრომლებთან/კონტრაქტორებთან პირადი და სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით ურთიერთობისას;
- გ) ინტერნეტის და სხვა ელექტრონული აპლიკაციების თუ საშუალებების გამოყენებისა და ამ დროს შესაბამისი ტრანზაქციების თუ მოქმედებების განხორციელებისას;
- დ) შრომითი ურთიერთობების დამყარების მიზნით სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით ურთიერთობისას;
- ე) ბანკთან გარიგების დადების მცდელობისას;
- ვ) ბანკის მხრიდან მონაცემთა სუბიექტის შესახებ კანონიერი გზებით მესამე პირებისგან (მაგ.: სს „კრედიტინფო საქართველო“) ინფორმაციის მოძიებისას;
- ზ) ბანკის ტერიტორიაზე (როგორც შენობაში, ასევე შენობის პერიმეტრზე) ფოტო, ვიდეო, აუდიო ჩანაწერების წარმოებისას;
- თ) ბანკის ტერიტორიაზე, გარკვეულ უსაფრთხო ზონებში დაშვების კონტროლის მიზნით თითის ანაბეჭდების აღებისას;
- ი) ყველა სხვა საშუალებით მონაცემთა სუბიექტის მხრიდან ბანკისათვის მონაცემის გადაცემისას.

4.2 თუ მონაცემთა სუბიექტი ბანკს აწვდის ინფორმაციას მესამე პირების (მათ შორის მაგ.: კლიენტები, მეუღლე ან/და საოჯახო პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი პირის; შვილების, თანამშრომლების) შესახებ, მონაცემთა სუბიექტი ადასტურებს, რომ მოპოვებული აქვს სრული ნებართვა და იღებს პასუხისმგებლობას ბანკის მხრიდან აღნიშნული მონაცემების დამუშავებაზე.

4.3 მონაცემების ჩაწერა შეიძლება განხორციელდეს ხელით, ე.წ. მატერიალური ან სხვადასხვა ელექტრონული საშუალებებით.

4.4 მოწოდებული მონაცემები უნდა შეიცავდეს სრულ და სწორ ინფორმაციას, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკის მხრიდან მომსახურების გაწევა შესაძლოა, შეფერხდეს ან ვერ განხორციელდეს.

მუხლი 5. აუდიო და ვიდეო ჩაწერა

5.1 კანონმდებლობით და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით ვიდეო ჩაწერა შეიძლება განხორციელდეს ბანკის შიდა და გარე პერიმეტრის ტერიტორიაზე.

5.2 აუდიო და ვიდეო ჩაწერა ხორციელდება ბანკის და მისი მომხმარებლების საკუთრების უფლების დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების, მართლწესრიგის დაცვის, საზოგადოებრივი უშიშროების და მომსახურების გაწევის მიზნით.

5.3 მონაცემთა სუბიექტების საყურადღებოდ აუდიო და ვიდეო ჩაწერასთან დაკავშირებით ბანკი თვალსაჩინო ადგილას განათავსებს გამაფრთხილებელ ნიშნებს.

5.4 სათანადო დასაბუთების და აუცილებლობის შემთხვევაში, აუდიო და ვიდეო ჩაწერა შეიძლება პერიოდულად განხორციელდეს მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნებისთვისაც.

მუხლი 6. მონაცემთა ფაილური სისტემა და ორგანიზება

6.1 მონაცემთა ფაილური სისტემა არის მონაცემთა სტრუქტურული წყება, რომელშიც მონაცემები დალაგებული და ხელმისაწვდომია კონკრეტული კრიტერიუმის თუ მახასიათებელი ნიშნების მიხედვით.

6.2 ბანკის ნებისმიერი სტრუქტურული ერთეული თუ ცალკეული თანამშრომელი/კონტრაქტორი ვალდებულია, აწარმოოს ფაილური სისტემის კატალოგი, განაახლოს და აღრიცხოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) ფაილური სისტემის სახელწოდება;
- ბ) მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის დასახელებები და მისამართები, მონაცემთა შენახვის ან/და დამუშავების ადგილი;
- გ) მონაცემთა დამმუშავების სამართლებრივი საფუძველი;
- დ) მონაცემთა სუბიექტის კატეგორია;
- ე) მონაცემთა კატეგორია ფაილურ სისტემაში;

- ვ) მონაცემთა დამუშავების მიზანი;
- ზ) მონაცემთა შენახვის ვადა;
- თ) მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვის ფაქტი და საფუძვლები;
- ი) ფაილურ სისტემაში განთავსებულ მონაცემთა მიმღები და მათი კატეგორიები;
- კ) ინფორმაცია მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის შესახებ და ასეთი გადაცემის სამართლებრივი საფუძველი;
- ლ) მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისათვის დადგენილი პროცედურის ზოგადი აღწერილობა.

6.3 ფაილური კატალოგების ორგანიზებას ახორციელებს ბანკში შესაბამისი პასუხისმგებელი პირი.

6.4 ბანკი ფაილურ სისტემას აწარმოებს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ქმნის ვიდეოჩანაწერების შენახვისათვის განკუთვნილ ფაილურ სისტემას, რომელიც აუდიო/ვიზუალური ჩანაწერების გარდა, შეიცავს ინფორმაციას მონაცემთა დამუშავების თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ.

მუხლი 7. შენახვა

7.1 ბანკში მონაცემები ინახება მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

7.2 მონაცემების შენახვის ვადის განმავლობაში, მონაცემი ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული და ბიზნეს საჭიროების მიზნებისთვის მხოლოდ ბანკის უფლებამოსილი თანამშრომლებისთვის.

7.3 მონაცემების შენახვა ძირითადად ხორციელდება კანონით დადგენილი ხანდაზმულობის შედავების უფლების ფარგლებში, ასევე ბანკის მიზნების და ინტერესების დაცვის საფუძვლების გათვალისწინებით. შენახვის კონკრეტული ფორმა და ვადები განსაზღვრულია კანონმდებლობით ან/და ბანკის შიდა პროცედურებით.

მუხლი 8. გამოყენება ან გამჟღავნება

8.1 მონაცემების გამოყენება და გამჟღავნება ხდება მხოლოდ მონაცემთა სუბიექტთან დადებული ხელშეკრულების, ცალკეული საბანკო პროდუქტებით/სერვისებით სარგებლობისას გამოხატული თანხმობ(ებ)ით და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

8.2 ბანკი მონაცემებს გამოიყენებს (მათ შორის, ამჟღავნებს):

- ა) მომსახურების გაწევის დროს მომხმარებლის იდენტიფიცირება, გადამოწმება/ვერიფიკაციისას;
- ბ) ბანკის პროცედურების მიხედვით შიდა ადმინისტრაციული ან ბიზნეს ოპერაციების საწარმოებლად;
- გ) ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში ბანკის რეორგანიზაციის და მასთან დაკავშირებული ოპერაციების დროს;
- დ) მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით საჩივრების, შეკითხვების, განცხადებების, უფლებამოსილი ორგანოებიდან მომართვების განხილვისას;
- ე) მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, როდესაც აუცილებელია მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ალმატებული ინტერესი.

8.3 მონაცემების ყოველი გამჟღავნება კონკრეტულ მონაცემთა დამუშავებაზე (ან გამჟღავნებაზე) პასუხისმგებელმა პირმა უნდა აღრიცხოს პროცედურებით დადგენილი წესით.

მუხლი 9. მონაცემების მარკეტინგული ან საინფორმაციო მიზნებისთვის გამოყენება

9.1. ბანკთან ურთიერთობისას დატოვებული მონაცემთა სუბიექტის საკონტაქტო ინფორმაცია შემდგომ შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც მარკეტინგული მიზნებისთვის ისე საინფორმაციო მიზნებისთვის.

9.2 მარკეტინგული მიზნით გამოყენება ნიშნავს საბანკო პროდუქტის თუ სხვა სახის მომსახურების შესახებ სარეკლამო ხასიათის შეტყობინებების გასაგზავნად მონაცემების დამუშავებას (ბანკის მიერ უკვე შეთავაზებულ მომსახურებებზე ან

ასეთის ცვლილებებზე ან ახალი მომსახურების შესახებ, პირად ან ბანკისთვის ცნობილ ტელეფონის ნომერზე, ხმოვანი, მოკლე ტექსტური, მულტიმედიური თუ სხვა სახის სატელეკომუნიკაციო საშუალებით, მათ შორის მისამართზე (საფოსტო გზავნილის სახით) ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე (ელექტრონული წერილის სახით).

9.3 ბანკი უფლებამოსილია, ბანკში რეგისტრირებულ საკონტაქტო ინფორმაციის გამოყენებით სახელშეკრულებო ვალდებულებებთან ან/და კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, ასევე საბანკო ოპერაციებთან და შეზღუდვებთან დაკავშირებული ინფორმაცია გაუგზავნოს მონაცემთა სუბიექტს.

9.4 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ბანკს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა. მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტის მოთხოვნის დაკმაყოფილება არ ახდენს ზეგავლენას და არ ნიშნავს უარს ბანკთან მომსახურების მიღების გაგრძელებაზე.

მუხლი 10. შეცვლა და გამოთხოვა

10.1 მონაცემთა სუბიექტი ბანკს აცნობებს იმ მონაცემების შეცვლის შესახებ, რომლის შესახებაც შეტყობინება წარმოადგენს ვალდებულებას ბანკთან დადებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში.

10.2 მონაცემთა შეცვლა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემთა სუბიექტის შესახებ ბანკში არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული ან თავად იცვლის პირად მონაცემებს (მაგ.: სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია და ა.შ.).

10.3 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს მის შესახებ:

- ა) მონაცემთა შეცვლა/აღდგენა სათანადო საფუძვლის არსებობის და შესაბამისი დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემთხვევაში;
- ბ) მის შესახებ არსებულ მონაცემებთან დაკავშირებით ბანკში არსებულ ინფორმაციის გადაცემა.

10.4 ინფორმაციის გაცემაზე ბანკს შესაძლებელია ჰქონდეს მომსახურების საფასური, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ინფორმაციის უსასყიდლოდ მიწოდების ვალდებულება განსაზღვრულია კანონმდებლობით.

მუხლი 11. მონაცემთა გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება

11.1 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ბანკმა კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულების მიხედვით შეძლოს მონაცემთა სუბიექტისთვის მომსახურების გაწევა/საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვა და შესრულება.

11.2 მონაცემთა გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება ხორციელდება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, როდესაც მონაცემთა სუბიექტის შესახებ ბანკში არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, არ არის სრული, შეცვლილია ან სხვა სათანადო დასაბუთებით მონაცემთა სუბიექტი მოითხოვს მითითებული მოქმედებების განხორციელებას მოქმედი კანონმდებლობის და წინამდებარე პოლიტიკის გათვალისწინებით.

11.3 მონაცემთა გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება ხორციელდება კანონმდებლობით და ბანკის პროცედურებით დადგენილ ვადებში და წესით.

11.4 ბანკის პასუხისმგებელი თანამშრომელი ვალდებულია დარწმუნდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე მონაცემთა სუბიექტის დასაბუთებული მომართვის შემთხვევაში, ამავე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების საფუძველზე, რომ შესრულებულია მისი მოთხოვნა ან/და მას გაეცა შესაბამისი დასაბუთებული პასუხი.

მუხლი 12. მონაცემთა სხვა სახელმწიფოში გადაცემა

12.1 მომსახურების გაწევის მიზნით და შეუფერხებელი საქმიანობის განხორციელების უზრუნველსაყოფად ბანკს შეუძლია აწარმოოს მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა თუ საერთაშორისო/უცხოური ორგანიზაციისათვის გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამავე სახელმწიფოში ან საერთაშორისო/უცხოურ ორგანიზაციაში უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები.

12.2 მონაცემთა გადაცემისას ბანკს შეიძლება დაჭირდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მაკონტროლებელი ორგანოს ნებართვა. კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, მაკონტროლებელი ორგანოს ნებართვას ბანკი არ

საჭიროებს, როდესაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხა უკვე დადგენილია მაკონტროლებელი ორგანოს შესაბამისი ნორმატიული აქტით.

12.3 უცხო სახელმწიფოში გადაცემის დროს ბანკი უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიებს იურიდიულ ან ფიზიკურ პირთან ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან დადებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 13. მონაცემთა უსაფრთხოება და ბანკის თანამშრომლების პასუხისმგებლობა

13.1 ბანკი იღებს ყველა ისეთ გონივრულ ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომას, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.

13.2 ამავე დროს ბანკთან ერთად მონაცემთა სუბიექტები ვალდებული არიან გაითვალისწინონ ბანკის და ზოგადად მონაცემთა უსაფრთხოების სფეროში არსებული რეკომენდაციები.

13.3 ბანკის ნებისმიერი თანამშრომელი და სტრუქტურული ერთეული მკაცრად იცავს კონფიდენციალობის და პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპებს, ასევე თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

13.4 ბანკის თანამშრომელი, რომელმაც შესაძლოა განახორციელოს მონაცემთა დამუშავება და არ არის დარწმუნებული თავის უფლებამოსილებაში, პირველ რიგში რწმუნდება, აქვს თუ არა მას მონაცემთა დამუშავების უფლებამოსილება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციას იღებს ბანკის შესაბამის სამსახურთან.

13.5 ბანკი, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვისთვის დამატებით მიმართავს შემდეგ ძირითად ღონისძიებებს:

- ა) ყველა თანამშრომელი, რომელიც ახორციელებს მონაცემების დამუშავებას პასუხისმგებელია მონაცემების დაცვაზე, მათ ესმით მონაცემთა დაცვის მნიშვნელობა და იციან საჭიროების შემთხვევაში რა მოიმოქმედონ;

ბ) თანამშრომლების წვდომა მონაცემებზე შეესაბამება მათთვის დადგენილ ავტორიზაციის დონეს, უფლებამოსილებას და ვალდებულებას;

გ) ახალი ტექნოლოგიების დანერგვამდე, ბანკი წინასწარ იღებს პერსონალური მონაცემების დაცვის და უსაფრთხოების ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს;

დ) პერიოდულად ხდება გადამოწმება და აუდიტი მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით;

ე) ბანკში მონაცემების დაცვის გაუმჯობესება და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა დინამიური და მუდმივი პროცესია.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები

14.1 პოლიტიკა ძალაშია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

14.2 წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება იმავე წესით, რაც დადგენილია მისი მიღებისთვის.

სამეთვალყურეო საბჭო

25 ოქტომბერი, 2017 წელი